არხოტი. ისართღელის უღელტეხილის გზა

მარშრუტის აღწერა

ტურის ვებ-გვერდი

შენიშვნა: მდინარის მხარეების/ნაპირების და შენაკადების განსაზღვრება (მარცხენა ან მარჯვენა) მოცემულია სტანდარტული წესის შესაბამისად: მდინარის დინების მიმართულების გათვალისწინებით (ჩვენი მოძრაობის მიმართულების გაუთვალისწინებლად).

მარშრუტის დაწყება, სურვილისამებრ, შეიძლება როგორც პირაქეთა ხევსურეთის (დუშეთის მუნიციპალიტეტი) სოფელ როშკადან, ასევე ხევის (ყაზბეგის მუნიციპალიტეტი) სოფელ ჯუთადან.

მარშრუტის როშკიდან დაწყების შემთხვევაში არხოტში ახალი სამანქანე გზით, კავკასიონის მთავარ ქედზე მდებარე არხოტის უღელტეხილის გავლით გადავალთ, ხოლო ჯუთადან დაწყების შემთხვევაში — საცალფეხო ბილიკით, არხოტისთავის უღელტეხილის (3265 მ) გავლით.

ორივე შემთხვევაში მარჯვნიდან ვუვლით ჭიმღის კლდოვან მასივს და სოფელ ახიელში ჩავდივართ. ახიელის შემდეგ სოფელი ამღაა, შემდეგ კი ასას ვიწრო ხეობის და ქავის კარის გავლით მივდივართ მდინარე ტანიესწყლის (ასას მარჯვენა შენაკადი) შესართავამდე.

ამ ადგილის იდენტიფიცირება შემდეგნაირად გაგვიადვილდება: სოფელ ამღადან დაწყებული, მდინარე ასას გასწვრივ დაღმა სიარულისას, უნდა დავითვალოთ ასას დიდი მარცხენა შენაკადები. პირველი ასეთი შენაკადი კალოთანაა, მეორე — ტანიესწყალი.

Arkhoti. Isartghele Pass Route

Route Description

Tour web-page

Note: the sides/banks and tributaries of rivers (whether left or right) are determined by common rule: by looking towards the direction of the river stream (ignoring our moving direction).

We can begin the route either from village Roshka of Piraketa Khevsureti (Dusheti Municipality) or from village Juta of Khevi (Khazbegi Municipality).

From Roshka, the way to Arkhoti lies on the new road crossing Caucasus Range through Arkhoti Pass while from Juta we have to hike on a mountain path through Arkhotistavi Pass (3265 m / 10712 ft).

In both cases we pass the rocky massif of Chimga from right and go to Akhieli Village. Akhieli is followed by Amgha village. After Amgha, through the narrow valley of Asa River and Kavis Kari, we reach the place where Taniestskhali (the right tributary of Asa) flows into Asa.

This place can be easily determined with the following way: beginning from Amgha village, hiking down along Asa, count Asa's big right tributaries. Taniestskhali is second one, the first one being Kalotana.



A bridge on Assa River, near the confluence of Taniestskhali and Assa

© შპს „ბისნა“ ● Bisna LLC | 2020



ხიდი მდინარე ასაზე, ტანიესწყლის შესართავის მახლობლად

ასაზე გადებული ხიდით ვკვეთთ მდინარეს და შევუყვებით ტანიეს ხეობას, მდინარე ტანიესწყლის გასწვრივ. ეს ტურის ერთ-ერთი ყველაზე რთული მონაკვეთია. ხშირად გვიწევს მდინარის გადაკვეთა, ზოგან კი — მდინარის კალაპოტში სიარული. ბოლოს, ვიწრო ხეობაში თითქმის 6 კილომეტრის სიარულის შემდეგ, მივაღწევთ ადგილამდე, სადაც ტანიესწყლის ორი მთავარი შენაკადი ერთდება. აქვე მდებარეობს მესაზღვრეთა საგუშაგო.

აქედან, ჩვენი საშვების შემოწმების შემდეგ, გზას მარცხნივ (ანუ ტანიესწყლის მარჯვენა შენაკადის ხეობაში) ვაგრძელებთ. სიმარტივისთვის, ამ შენაკადს „კოვგრა“ ვუწოდოთ, რა სახელითაც ის ზოგიერთ რუკაზეა აღნიშნული. მაგრამ მანამდე, ჩვენ შეგვიძლია დაახლოებით 3,5 კილომეტრი ავიაროთ მარცხენა შენაკადის ხეობაში, მოვინახულოთ ტანიეს ტბა და უკან დავბრუნდეთ.

კოვგრას გასწვრივ გარკვეული მანძილის გავლის შემდეგ მარჯვნივ ვუხვევთ და ციცაბო აღმართზე სიმაღლის სწრაფად აღებას ვიწყებთ, კოვგრას მარცხენა შენაკადის გასწვრივ. სწორ შესახვევს ამ გზით უნდა მივაგნოთ: კოვგრასა და მთავარი მარცხენა შენაკადის შესართავიდან (მესაზღვრეების საგუშაგოდან) მოყოლებული, კოვგრას ხეობაში გადაადგილებისას, უნდა დავითვალოთ კოვგრას მარცხენა შენაკადები (გზად მრავალი ნაკადულია, მაგრამ მათ ყურადღება არ უნდა მივაქციოთ. დავითვალოთ მხოლოდ ისეთი შენაკადები, რომლებიც საკუთარ ხეობას წარმოქმნიან). კოვგრასა და მთავარი მარცხენა შენაკადის შესართავიდან დაახლოებით 1,6 კმ-ში კოვგრას პირველ მარცხენა შენაკადთან მივალთ, აქედან დაახლოებით 700


With the bridge over Asa, we cross the river and begin hiking in Tanie Valley, along Taniestskhali River. This part is one of the most difficult sections of the tour. We often have to cross the river and sometimes to walk in streambed. Finally, after almost 6 km (3,73 miles) hiking in the narrow valley, we reach the place where two main streams of Taniestskhali meet. Border keepers' check point is located near the confluence.

From here, after checking our permits, we continue to the left (it means along the right stream/tributary). Let's for simplicity call this right stream "Kovgra", as it is named on some maps. But before this, we can ascend about 3,5 km (2,17 miles) into the valley of left tributary, see Tanie Lake and return back.

After hiking certain distance along Kovgra, we turn to the right and begin to ascend fast on a very steep slope, along the left tributary of Kovgra. This is how to identify the correct turn: beginning from the confluence of Kovgra and the main left stream (border keepers' check point), hiking along Kovgra, count its (Kovgra's) left tributaries (there are many springs, but ignore them. count only those tributaries, that have made their own valleys). In about 1,6 km (1 mile) from Kovgra — main left stream confluence, we meet first left tributary of Kovgra, after that, in about 700 m (2300 ft) we meet second left tributary. Here we have to turn right and ascend along Kovgra's left tributary.


© შპს „ბისნა“ ● Bisna LLC | 2020

მეტრში კი — მეორე მარცხენა შენაკადთან. აქ უნდა შევუხვიოთ მარჯვნივ და კოვგრას მარცხენა შენაკადს უნდა ავუყვეთ.



მდინარე კოვგრადან მარჯვნივ ვუხვევთ, როდესაც ჩვენგან მარჯვნივ ამ მწვერვალს დავინახავთ.

აღმართზე, მას შემდეგ, რაც ქვიანი ზონა იწყება, მარცხენა მხარე უნდა დავიკავოთ. ციცაბო აღმართზე რამდენიმე საათიანი ასვლის შემდეგ ისართღელის უღელტეხილი გამოჩნდება, რომელიც ხევსურეთის ქედზე, ზღვის დონიდან დაახლოებით 3500 მეტრზე მდებარეობს.



We turn right from Kovgra River, when we see this peak on the right side from us.

During the ascent, after stony terrain begins, we keep left direction. After several hours on steep ascent, we see Isartghele Pass, located on Khevsureti Range, about 3500 m (11483 ft) above sea level.



This is what Isartghele Pass looks like.

From the pass we descend to the opposite side, to the basin of Argun River. The descent is very steep and the valleys are poorly tracked. So we mostly have to hike



ასე გამოიყურება ისართლილის უღელტეხილი.

უღელტეხილიდან საპირისპირო მხარეს, მდინარე არღუნის აუზში ვეშვებით. დაღმართი ძალიან ციცაბოა, ხოლო ხეობები — ცუდად გაკვალული. მნიშვნელოვანწილად გაუკვალავზე სიარული გვიწევს, სანამ ბილიკს მივადგებით, რომელსაც ჯერ სოფელ გიორგიწმინდაში, შემდეგ კი — თბილისი-შატილის გზაზე გავყავართ, რაც ჩვენი ტურის საბოლოო წერტილია.

on non-tracked terrain before we reach the path, that leads us first to Giorgitsminda village and then to Tbilisi-Shatili road, the last point of our tour.

© შპს „ბისნა“ ● Bisna LLC | 2020